პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 285 (20026) პარასკევი, 11 დეკემბერი, 1987 წელი. ● ფასი 3 კაპ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ერთიანული შინაარსითაა

გუშინ ვიუწყებოდით რედაქციაში შემოსული სასიხარულო ცნობების თაობაზე და გაგაცანით ორი შრომითი კოლექტივის მისაბაძი სამეურნეო მაჩვენებლები. ამჯერად გთავაზობთ კიდევ ამ ინფორმაციას:

ქარელელ მეხილეებს ძნელი წელი ჰქონდათ, მაგრამ თავი არ შეურცხვენიათ. საზოგადოებრივმა მეურნეობებმა მაინც შეასრულეს ხილის დამზადების გეგმა. მათ სახელმწიფოს 29.400 ტონა ხილი მიჰყიდეს და საგეგმო მაჩვენებელს 150 ტონით გადაამეტეს.

თავი ისახელეს ფცისა და ბრეთის საბჭოთა მეურნეობების, ქარელისა და აბისის კოლმეურნეობათა მშრომელებმა, მარტო ამ საზოგადოებრივ მეურნეობებში 11100 ტონა ხილი, ანუ რაიონული გეგმის მესამედზე მეტი დამზადდა.

* * *

ზესტაფონის რაიონის შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა მიმდინარე წლის თერმეტი თვის საწარმოო დავალებები. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 241 ათასი მანეთის პროდუქცია. ამ თანხიდან 175 ათასი მანეთისა ფართო მოხმარების საქონელია.

პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა 2,4 პროცენტით გადააჭარბა საგეგმოს. განაღდებულია ნაწარმის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებებიც.

ქარხანაში კარგი შრომითი მაჩვენებლებით გამოირჩევა მესამე საამწყობო საამქროს, მეორე ცვლის პირველი როტორული ხაზის ბრიგადა. მან ხუთწლედის ორი წლის დავალებები 12 ოქტომბრისათვის შეასრულა.

* * *

სამეურნეო ანგარიში უზრუნველყოფს მუშაობისათვის ხელსაყრელი შრომის ორგანიზაციას. ამიტომაც სოხუმის საქსოვ ფაბრიკაში რვა საწარმოო ბრიგადის ნაცვლად შეიქმნა ორი გამსხვილებული ბრიგადა. ამ განისაზღვრება კოლექტივის თითოეული წევრის შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტი და ამის შესაბამისად დაირიცხება ხელფასი. ● ამიტომაც გაქრა ისეთი ცნებები, როგორიცაა გათანაბრება, მფლანგველობა და უყაირათობა.

ფაბრიკის მშრომელებმა წლის დამდეგიდან დავალების გადამეტებით 73 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. დაზოგეს 2,2 ტონა ნედლეული და 6,6 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ზეგეგმითი მოგების გაზრდის დავალება კი 160 პროცენტით შესრულდა.

ახლა შრომითს კოლექტივში გაჩაღდა შეჯიბრება, იმისათვის, რომ ფაბრიკამ 25 დეკემბრისთვის შეასრულოს წლიური გეგმა.

ზამთარი სანამ ამინდი ხელს გვინყოგს

მთელ რესპუბლიკაში დაწყებული გათბობის სეზონი რიტმულად, გაბართულად მიმდინარეობს, შეუფერხებლად მოქმედებს ენერგეტიკული სისტემა, საკმარისი რაოდენობით აწვდიან ბუნებრივ გაზს მოსახლეობას. მაგრამ ამას დიდად უწყობს ხელს ამინდის ხელსაყრელი პირობები. აღინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირზე, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის მოსახლეობის სათბობით, ელექტრული და სითბური ენერგიით უზრუნველყოფის საკითხი. დარიანი დღეები უნდა გამოვიყენოთ დარჩენილი ხარვეზების, ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება მთელი რიგი ქალაქებისა და სოფლების გათბობის მეურნეობებში.

მუშაობაში მეტი შეთანხმებულობა უნდა გამოიჩინოს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სხვადასხვა დარგმა. დღეისათვის კი ისეთი ვითარებაა, რომ ცალკეული დარგები ქრონიკულად არ უხდიან ერთმანეთს ფულს ნედლეულისათვის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს კომპლექსის საერთო ფინანსურ მდგომარეობაზე.

ზამთარი ენერგორესურსების უმაკვრესი დაზოგვის დროა. მთლიანად რესპუბლიკაში სრულდება მათი ეკონომიის დავალება. ყველაზე ენერგოტევად საწარმოებში ენერგოზედამხედველობა ახორციელებს პროდუქციის გამოშვებისა და ენერგორესურსების ხარჯვის ხვედრითი ნორმების დაცვის ყოველდღიურ ოპერატიულ კონტროლს.

მაგრამ რესპუბლიკაში არის ისეთი საწარმოებიც, სადაც ენერგიას ფლანგავენ, არ იყენებენ მისი ეკონომიის რეზერვებს. ამის მაგალითად თათბირზე მოიყვანეს რუსთავის ცემენტის ქარხანა და სამტრედიის ხის დამამუშავებელი კომბინატი. აქ არ იცავენ სათბობისა და ენერგეტიკული რესურსების ხარჯვის ელემენტარულ ნორმებს, არ ზოგავენ მათ.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ი. ვადაჭკორიამ.

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ლიდერებთან. საკადრო-საქინფორმის ტელეფოტო.

რეალისტურად ვიმოქმედოთ ყველა მიმართულებით

ვაშინგტონი, 10 დეკემბერი (საკადრო-საინ. კორ.). ოთხშაბათს აქ გაიმართა მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ლიდერებთან. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ჯ. რაიტი, ტ. ფოლი, რ. მაიკლი, ტ. კუელო, ტ. ლოტი, რ. ბერნეი, რ. დოული, ა. კრენსტონი, ა. სიმპსონი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი, სხვა ოფიციალური პირნი.

მიმართა რა კონგრესმენებს, მ. ს. გორბაჩოვმა თქვა:

გუშინ საერთო ძალისხმევით, ერთმანეთის სურვილების გათვალისწინებით მივაღწიეთ უნიკალურ მოვლენას — არა მარტო ჩვენი ურთიერთობის, არამედ საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში. გადაიდგა ძალიან დიდი ნაბიჯი. მსოფლიოში პირველი რეაქცია ხელშეკრულების ხელმოწერის აქტზე გვიჩვენებს, რა რეზონანსი გამოიწვია მან ადამიანებში. ამიტომაც, მოდით ერთად მოვიფიქროთ, როგორ ვიცხოვრებთ ერთად ამ მსოფლიოში ჩვენ — შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი. მე, მაგალითად, ვგრძნობ, რომ საბჭოთა ხალხის ფართო წრეებს აქვთ დიდი სურვილი ჩვენი ურთიერთობა შეიცვალოს უკეთესობისაკენ, და ვამჩნევ, რომ ასეთივე ადეკვატური მოძრაობა ვლინდება ამერიკის საზოგადოებრიობაშიც. მაგრამ თუ ადამიანთა ეს განწყობილებანი არ იქნა გაანრეული პოლიტიკურ ინსტიტუტებში, მათ შორის ისეთ გადამწყვეტ ინსტიტუტებში, როგორიც არის კონგრესი და უმაღლესი საბჭო, სსრ კავშირის მთავრობა და ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, ამ პროცესს არ მიეცემა სათანადო იმპულსები.

ვაშინგტონში გამომგზავრების წინ მქონდა რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა. კერძოდ, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრთან და ზამბიის პრეზიდენტთან. ისინი ჩამოვიდნენ მსოფლიოს სულ სხვადასხვა მხარიდან, მათთან ყველა საუბარი კი იწყებოდა ერთი რამით: თქვენ ვიზიტად მიემგზავრებით მეერთებულ შტატებში, ყველაფერი იღონეთ, რომ თქვენი ურთიერთობა ამერიკელებთან უკეთესობისაკენ შეიცვალოს. ასე რომ, ჩვენ და თქვენ მარტო საკუთარი ხალხების წინაშე როდი გვაკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა—მთელ მსოფლიოში სურთ, რომ ჩვენი ურთიერთობა მოგვარდეს. ჩვენს ურთიერთობაში და პოლიტიკურ დონეზეც იგრძნობა ერთგვარი ძვრა. მეტი სენატორი და კონგრესმენი ჩამოდის საბჭოთა კავშირში, და ამას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. თქვენც პირადი გამოცდილებით ალბათ, დარწმუნდით, რომ ვისწრაფვით, რათა დიალოგი ამ მიმართულებით იყოს სერიოზული, გაღრმავდეს და გაფართოვდეს. ეს პირველი აზრი, რომლის გამოთქმა მინდოდა.

მეორე. წინ უბრალო განიარაღების პროცესი როდი გველის. ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ეს ტვირთი მაინც შევამსუბუქოთ, რომ იგი ნაკლებად აწვებოდეს ამერიკასაც, საბჭოთა კავშირსაც. როცა ამას ვამბობ, ბევრი იმათგანი, რომლებსაც მე წინდაუხედავ ადამიანებს ვუწოდებდი, იწყებენ მსჯელობას: დიახ, გორბაჩოვს გაუჭირდა, რახან ამერიკაში ჩამოვიდა და ლაპარაკობს საბჭოთა კავშირისათვის გამალებული შეიარაღების ტვირთის შემცირების შესახებ. მაგრამ მე უნდა ვთქვა: საქმე ეს არ არის. საქმეა ამ პრობლემის არსის გაგება. გამალებული შეიარაღება ხომ მეტად ძლიერ არეულებს პოლიტიკურ დიალოგსაც, სხვა ურთიერთობასაც და გავლენას ახდენს ჩვენს ქვეყნებში ეკონომიკურ პროცესებზე. ჩვენ ვხედავთ, დაგროვილი იარაღის რა მთებზე ვსხედვართ გამალებული შეიარაღების შედეგად. აბა იფიქრეთ, რა მოხდება, იგი რომ უცებ ამოქმედდეს და აღარ დაემორჩილოს ჩვენს კონტროლს! თუ ამას შევიგნებთ, ერთმანეთის სურვილები უნდა გავითვალისწინოთ. მივესალმები იმ ფაქტს, რომ ამ ბოლო დროს ძნელი დიალოგის მეშვეობით რეალისტური აზრი გზას იკაფავს ამერიკის საზოგადოებრივ აზრშიც და პოლიტიკურ წრეებშიც. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ აზრშიც და პოლიტიკურ წრეებშიც. მიგვაჩნია, დადგა დრო, ჩვენმა პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა, მთავარმა, უმაღლესმა ინსტიტუტებმა შეიგნონ და განახორციელონ პოლიტიკაზე ეს მომწიფებული მოთხოვნილება.

გუშინ გადავდგით პირველი ნაბიჯი. რა თქმა უნდა, იგი ეხება ბირთვული იარაღის მხოლოდ ხუთ პროცენტს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მისი პოლიტიკური მნიშვნელობა გაცილებით მეტია: როგორც იქნა გადაიდგა ეს უძნელესი ნაბიჯი. მე მგონია ამერიკის მხარე, და საბჭოთა მხარეც ყოველთვის ერთმანეთს კრიჭაში ედგნენ, რადგან წინასწარ გრძნობდნენ, რომ ეს უბრალო საკითხი არ არის. მხედველობაში უნდა იქონიოთ, რომ პირველად ჩვენს ქვეყანაში ეს საკითხი ადვილად არ წყდებოდა. გუშინ პრეზიდენტს ვუთხარი, რომ ჩვენს საზოგადოებაში ბევრ შეკითხვას იძლევიან, მათ შორის შეკითხვას აძლევენ გენერალურ მდივანსაც, მთავრობასაც, აშკარად, პრესაში, რომ არაფერი ვთქვათ წერილებზე, — სწორად იქცევა თუ არა საბჭოთა ხელმძღვანელობა, როცა თანხმდება სამ-ოთხჯერ მეტად შემაციროს ბირთვული იარაღი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გულაპის ინსტიტუტმა და ჩვენმა საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა დამოუკიდებელი გამოკითხვა მოაწყვეს ამერიკაშიც, ჩვენშიც. და აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ნახევარი კითხულობს: უნდა აჭრნდავწყოთო, ხომ არ მიაყენებს ზიანს საბჭოთა კავშირის უშიშროებას ამ ხელშეკრულების დადება. მოგახსენებთ, რომ ეს ჩვენთვისაც კი ახალი ამბავია, ვგრძნობთ, რომ მოგვიწევს მუშაობა საზოგადოებრივ აზრთანაც, უმაღლეს საბჭოშიც. ალბათ, პირველად ჩვენთანაც არც ისე უბრალოდ ჩაივლის რატიფიკაციის პროცესი. მაგრამ მინდა ვთქვა, რადგან ამ ხელშეკრულებასთან, მისი მომზადების მთელ კონკრეტიკასთან ვარ დაკავშირებული, ეს სერიოზული, მეტად საფუძვლიანად შემუშავებული ხელშეკრულებაა. და რაც მთავარია, მივაღწიეთ ისეთ სახეობათა კონტროლს, რომლებიც უპრეცედენტოა. ეს საჭიროა არა მარტო ამ ხელშეკრულებისათვის, არამედ ბადებს რწმენას, რომ შევძლებთ, როცა საქმე მიდგება სტრატეგიულ შეიარაღებაზე, ვისარგებლოთ შედეგნილი გამოცდილებით. ეს იმის მაგალითია, როგორ შეიძლება ისეთ მგრძნობიარე საკითხშიც კი, როგორიც კონტროლია, ვიპოვოთ ერთნაირი ინტერესები და განვახორციელოთ ისინი.

* * *

შეხვედრაზე გამოსულმა კონგრესის ლიდერებმა მადლობა გადაუხადეს მ. ს. გორბაჩოვს შინაარსიანი და გულწრფელი საუბრისათვის, რომლის დროს სრული გულახდილობის სულისკვეთებით განიხილეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისა და საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ჯ. რაიტმა თქვა: ყველაფერი, რაც დღეს ხდება ვაშინგტონში, მათ შორის გუშინ ხელმოწერილი შეთანხმება, პირველი კარგი ნაბიჯია ჩვენს დიდ ქვეყნებს შორის უკეთესი ურთიერთგაგებისა და უფრო ნაყოფიერი ურთიერთობის გზაზე. დღეს თქვენ უადრესად გულახდილი იყავით ჩვენთან, აღტაცებული ვართ იმით, რასაც აკეთებთ და ცდილობთ გააკეთოთ საბჭოთა კავშირში. მე მხოლოდ ვწუხვარ, რომ ყველა ჩემს კოლეგას არ მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო ესოდენ გულახდილ დისკუსიაში. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ქვეყნის ხალხს, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ხალხსაც, გულწრფელად სურს მშვიდობა, და ჩვენი ვალია ყველაფერი ვიღონოთ ამ მიზნის მისაღწევად.

სენატში უმრავლესობის ლიდერმა რ. ბერდმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს საშუალო სიშორის რაკეტებისა და ნაკლები სიშორის რაკეტების შესახებ ხელშეკრულების დადებისა. ეს ინიციატივა, ალბათ, ამ ზეაღმავალ ტენდენციას ამყარებს. ეს ნიშანია, ეს ნიშანია, ეს ნიშანია,

უპასუხისმგებლობისათვის — პასუხისგებაში

მთავრობის კომისიამ, რომელსაც მეთაურობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია, შეისწავლა 29 ნოემბერს ადლეგინი გარდაბანი-ბეიუკ-ყიასაკის რკინიგზის გადასარბენზე მომხდარი მატარებლების ავარიის მიზეზები.

დადგინდა, რომ საფოსტო-სამგზავრო მატარებელი № 905 თბილისი-ბაქო 10 საფოსტო-საბარგო და 10 სამგზავრო ვაგონის შემადგენლობით გარდაბნის სადგურიდან გავიდა მოსკოვის დროით 3 საათსა და 16 წუთზე და გაჩერდა გადასარბენზე იმის გამო, რომ წინ ლიანდაგი დაკავებული ჰქონდა ორ სატვირთო შემადგენლობას. ამასობაში მას შეუჩერებლად უკან მოჰყვა სატვირთო მატარებელი № 2005, რომელსაც მართავდა თბილისის მახარისებელი დეპოს სალოკომოტივო ბრიგადა — მემანქანე ე. ე. ჯიოევი და მისი თანაშემწე ს. უ. ბლუაშვილი. მატარებელი არ გაჩერდა აკრძალვის სიგნალზე და 3 საათსა და 35 წუთზე საათში 50 კილომეტრი სიჩქარით შეეჯახა თბილისი-ბაქოს შემადგენლობის ბოლო სამგზავრო ვაგონს. შეჯახების შედეგად დაიღუპა 30 და დაშავდა და დასახიჩრდა 66 კაცი.

20 წუთის შემდეგ კატასტროფის ადგილას მივიდნენ ახლომდებარე ქვეგანაყოფის მეომრები. ისინი დაუყოვნებლივ შეუდგნენ ადამიანებისათვის დახმარების გაწევას. 4 საათსა და 10 წუთზე მოვიდნენ სასწრაფო დახმარების ავტომანქანები, რომლებმაც დაშავებულთა ევაკუაცია დაამთავრეს 4 საათსა და 55 წუთზე.

ავარიის ყველა მასალის განხილვისა და მთავარობის კომისიის მიერ სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელთა, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის ორგანოების მოხსენებათა განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ავარიის უშუალო მიზეზი გახდა № 2005 სატვირთო მატარებლის სალოკომოტივო ბრიგადის ძილი პოსტზე, რომლის დროს მემანქანე ჯიოევი, რომელიც, რეფლექტორულად აჭერდა ხელს სიფხიზლის სახელურს, ამით აფერხებდა ავტომსდგეჭის მოქმედებას და გაიარა შუქნიშნის აკრძალავ სიგნალზე. აღნიშნული გარემოებანი საკმაოდ ნათლად ადასტურებენ სსრ კავშირის გზათა სამინისტროს სპეციალისტთა მიერ მოწყობილმა ტექნიკურმა გამოკვლევამ.

თუმცა მემანქანე ჯიოევს გამგზავრების წინ მიეცა დასვენება 30 საათის განმავლობაში ნორმით გათვალისწინებული 18 საათის ნაცვლად, მაგრამ ნოემბერში მან ზეგანაკვეთურად დაუსვენებლად იმუშავა 108 საათს. ეს ერთეული ფაქტი როდია: მიმდინარე წლის 10 თვის მანძილზე სალოკომოტივო ბრიგადების თითეულ მუშაკს საშუალოდ აქვს 513 საათი ზეგანაკვეთური სამუშაო, რაც იწვევს გადატვირთვასა და გადაღლას. ეს გამოწვეულია, უწესრიგო ყოვლისა იმით, რომ რკინიგზის თბილისის განყოფილებაში არ არის მატარებლის მოძრაობის ოპერატიული დაგეგმვისა და ორგანიზაციის, ლოკომოტივებისა და მატარებლების ბრიგადების მუშაობის მართვის სისტემა. აქ არ სრულდება გზათა მინისტრის შესაბამისი ბრძანება სალოკომოტივო ბრიგადების შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების ნაწილში.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის ივნისში სალოკომოტივო ბრიგადების შრომისა და დასვენების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციისათვის თანამდებობიდან გაათავისუფლეს სალოკომოტივო განყოფილების უფროსი ამხ. რუსია და მკაცრად აგებინეს პასუხი მოძრაობის განყოფილების ყოფილ უფროსს ამხ. სულაძეს და განყოფილების უფროსს ამხ. ქარუმიძეს, მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. თბილისის განყოფილების მოძრაობის განყოფილების უფროსს ამხ. ჯაფელს არ გამოუტანია შესაბამისი დასკვნები და არ განუხორციელებია საჭირო ღონისძიებანი სალოკომოტივო ბრიგადების სამუშაო დროის გამოყენებაში წესრიგის დასამყარებლად.

ამიერკავკასიის რკინიგზაზე არ შეუსრულებიათ სიფხიზლის დამტებითსახელურიანი უსაფრთხოების ხელსაწყოებით ყველა ელმავლის აღჭურვის გეგმა. რკინიგზის სალოკომოტივო მეურნეობის სამსახურის უფროსმა ამხ. კაპანაძემ ვერ უზრუნველყო ყველა ლოკომოტივის, მათ შორის იმ ელმავლის აღჭურვა აღნიშნული ხელსაწყოებით, რომელიც ჯიოევი მართავდა და არ განუხორციელებია ღონისძიებანი ასეთი ლოკომოტივების ექსპლოატაციის აკრძალვისათვის. ამავე დროს აღნიშნული ელმავალი № 637, რომელიც არ იყო აღჭურვილი სიფხიზლის დამატებითი სახელურით, 29 ნოემბერს თბილისის განყოფილების ბრძანებით გაიგზავნა თბილისი—ბეიუკ-ყიასიკის მონაკვეთზე, სადაც ასეთმა ლოკომოტივმა არ უნდა იმუშაოს.

ავარიის შემდეგ მოწყობილი შემოწმებით დადგინდა, რომ რკინიგზაზე არის სიფხიზლის მეორე სახელურით აღუჭურავი 88 მგზისტრალური ელმავალი. გზის უფროსის მოადგილეს სალოკომოტივო მეურნეობის დარგში ამხ. ხეჩოიანს, რომელმაც ეს იცოდა, არ განუხორციელებია უსაფრთხოების მოდერნიზებული მოწყობილობით აღჭურვილი ლოკომოტივების ექსპლოატაციიდან ამოღების ღონისძიებანი.

გზის უფროსის მოადგილემ — უსაფრთხო მოძრაობის რეგიზორმა ამხ. მაისურაძემ ვერ მიაღწია იმას, რომ გზის უფროსის მოადგილეები, სამსახურებისა და განყოფილებების ხელმძღვანელები ზუსტად ასრულებდნენ გზის ყველა მეურნეობაში მატარებლების უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფის მოთხოვნებს.

უსაფრთხო მოძრაობის დარღვევათა მეტი ნაწილი გამოწვეულია დისციპლინისა და პასუხისმგებლობის დაბალი დონით. მატარებლების მოძრაობასთან დაკავშირებულ მუშაკებს შრომისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევებისათვის 10 თვეში დაედოთ 2473 დისციპლინური სასჯელი, აქედან 315 გადაცდენებისათვის. მარტო თბილისის მახარისებელი სადგურის სალოკომოტივო დეპოში აღმინისტრაციული წესით დაისჯა 156 კაცი შარშანდელ 32-თან შედარებით. არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1986 წლის 24 სექტემბრისა და 1987 წლის 21 ივლისის დადგენილებანი მატარებლების უსაფრთხო მოძრაობის გაძლიერების შესახებ. სეროიზული ნაკლოვანებებია კადრებთან მუშაობაში. შესუსტებულია ყურადღება მათი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისადმი, ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა რეზერვის შექმნისადმი, არის ხოლმე შემთხვევები, როცა ხშირად იცვლება და ხანგრძლივი დროის მანძილზე კი არ არის დაკომპლექტებული ხელმძღვანელი შემადგენლობა და წამყვანი პროფესიების სპეშალისტები. გზის უფროსის მოადგილემ კადრებისა და სოციალურ საკითხებში ამხ. ბერძენიშვილმა არ განახორციელა ქმედითი ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, არ გარდაქმნა საკადრო მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაჩქეითებულია საექსპლოატაციო მუშაობის დონე. მიმდინარე წელს შემცირდა ტვირთზიდვის მოცულობა, გაიზარდა დანაკარგები ვაგონებისა და ლოკომოტივების გამოყენებაში, უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ სადგურები დამაკმაყოფილებლად არ მუშაობენ მატარებლების მიღება-გაშვებისათვის, მოძრავი შემადგენლობის დამუშავებისათვის, რასაც მოჰყვა ვაგონნაკადის მოძრაობის შენელება გზის მონაკვეთებზე.

მაგისტრალის მუშაობაში ავარიულობის ზრდა, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის დონის დაქვეითება და სხვა ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ სეროიზული ხარვეზები აქვთ გზის ხელმძღვანელობაში მის უფროსს ამხ. პაპავას და უფროსის პირველ მოადგილეს ამხ. ბაციკაძეს.

სუსტად მუშაობენ დისციპლინის განმტკიცების, მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რკინიგზელთა შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებისათვის ამიერკავკასიის რკინიგზის რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტი (ამხ. ბუგაიშვილი), რკინიგზელთა პროფკავშირის თბილისის განყოფილების რაიონული კომიტეტი (ამხ. ბოგვერაძე), რკინიგზის სამმართველოს პარტკომი (ამხ. ჩუბინიძე) და თბილისის რკინიგზის კვანძის პარტკომი (ამხ. ჯიმკარიანი).

მთავრობის კომისია აღნიშნავს საშველ სამუშაოთა დროს საქართველოს ჯანმთელობის დაცვის სამინისტროს თანამშრომელთა, ამიერკავკასიის წრეთელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეთაროთა, თბილისის საქალაქო აღმასკომისა და გარდაბნის რაიაღმასკომის ხელმძღვანელობის დაორგანიზებულობას.

ამიერკავკასიის სატრანსპორტო პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ავარიის ფაქტის გამო და აწარმოებს გამოძიებას.

გარდაბან-ბეიუკ-ყიასიკის გადასარბენზე მატარებლების ავარიის მიზეზებს გამოძიების შედეგები და ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიისა და თბილისის განყოფილებებში მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების განმტკიცების ღონისძიებანი განიხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

მოისმინეს მთავრობის კომისიის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ო. ე. ჩერქეზიას მოხსენება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დაეთანხმა მთავრობის კომისიის დასკვნებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მატარებლების ავარია, რომელსაც მძიმე შედეგები მოჰყვა, შესაძლებელი გახდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და თბილისის განყოფილების მთელ რიგ ხელმძღვანელთა სამსახურებრივი მოვალეობისადმი დანაშაულებრივ-დაუდეგარი დამოკიდებულების, მაგისტრალის ქვეგანაყოფებში უდისციპლინობისა და უკონტროლობის ვითარების გამო. ამის შედეგად მიმდინარე წელს აქ მოხდა მატარებლების ხუთი მარცხი და ორი ავარია. გაიზარდა წუნი სამატარებლო და სამანევრო მუშაობაში. 10 თვის მანძილზე შარშანდელთან შედარებით სალოკომოტივო ბრიგადების ზეგანაკვეთური მუშაობა 14 პროცენტით გაიზარდა და 900 ათას საათს მიაღწია. გახშირად უწესივრობა ლოკომოტივებისა და ვაგონების მუშაობაში, ცუდ მდგომარეობაშია ლიანდაგები, ენერგომომარაგება, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის მოწყობილობანი.

აღინიშნა, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელმძღვანელობამ და პარტიულმა კომიტეტმა ჯეროვანი დასკვნები ვერ გამოიტანეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 1987 წლის 10 სექტემბრის დადგენილებიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ რკინიგზის ყაზინკაიას სადგურში მატარებლების მარცხის შესახებ, აგრეთვე მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილებიდან. მისი გაუარესების მთავარი მიზეზები კვლავ არის საქმის უადრესად არადამაკმაყოფილებელი ვითარება რკინიგზელთა მორის შრომის, საწარმოო და საშემსრულებლო დისციპლინასთან დაკავშირებით.

დიდ ხარვეზებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოძრაობის უსაფრთხოებაზე, შეიცავს მაგისტრალის პერსპექტიული განვითარება. მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლეულების გეგმების ჩამოყალიბებისა და დამტკიცების დროს დაშვებული იყო მისი განვითარების ცალმხრივობა. მაგალითად, მეორე ლიანდაგების მშენებლობისას არ აფართოებდნენ სადგურებს, სალოკომოტივო და სავაგონო მეურნეობებს. საკმარისი არ არის სატრანსპორტო საამქროების, მისასვლელი გზების გადამმუშავებელ-უნარიანობა და ა. შ. ბევრი პრობლემა დაგროვდა სოციალურ-საყოფაცხოვრებო სფეროში. ნორმალურად ვერ მივიჩნევთ იმ მდგომარეობას, რომ ბევრი რკინიგზელი ცხოვრობს ძველ და მოუწყობელ სახლებში, 20 წელზე მეტ ხანს დგას ბინის მიღების რიგში.

მაგისტრალზე ავარიულობის ზრდა, დისციპლინის დონის დაქვეითება, ნაკლოვანებანი მეურნეობისა და ტექნიკური საშუალებების მოცალნენაცვლებაში, ყურადღების შენელება მაგისტრალის მშრომელთა შრომისა და ყოფის პირობებისადმი იმის შედეგია, რომ გზის ხელმძღვანელობაში სეროიზული ხარვეზები აქვთ მის უფროსს ზ. დ. პაპავას, უფროსის პირველ მოადგილეს ვ. ი. ბაციკაძეს, უფროსის მოადგილეებს ლ. შ. ბერძენიშვილს, ა. ა. ხეჩოიანს, დიდი შეცდომები და უძრაობის მოვლენებია საკადრო პოლიტიკაში.

რკინიგზის სამმართველოს პარტიული კომიტეტი (ვ. ვ. ჩუბინიძე), სამტრედიის განყოფილების რკინიგზის კვანძების პარტიული კომიტეტები (შ. შ. ბაზიაშვილი, ვ. გ. გლუხჩაძე, ჯ. ს. სხვედიანი, ბ. ს. ანდრიაძე, ი. ა. გვასალია) და თბილისის განყოფილების რკინიგზის კვანძების პარტიული კომიტეტები (ი. მ. ჯიშკარიანი, ლ. ვ. ხეთაშვილი, ა. ლ. თედოლაშვილი) არ იჩენენ მებრძოლურობასა და პრინციპულობას დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების, მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში, მეურვეობენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი ცალკეული კომუნისტი ხელმძღვანელების უპასუხისმგებლო დამოკიდებულების ფაქტებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ მაგისტრალზე დისციპლინისა და წესრიგის არადამაკმაყოფილებელი ვითარება, მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შექმნილი ემსგავსო მდგომარეობა იმის შედეგია, რომ დაბალ დონეზე მუშაობენ რკინიგზის პარტიული ორგანიზაციები და პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები მათ ხელმძღვანელობენ ფორმალურ-ბიუროკრატიული სტილით, აგრეთვე ამ საკითხებს საკმარის კონტროლს არ უწევენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესაბამისი განყოფილებები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიზანშეუწონლად ცნო ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის თანამდებობაზე ზ. დ. პაპავას დატოვება. პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი განხილება მისი გამოჯანსაღების შემდეგ.

მატარებლების მოძრაობასთან დაკავშირებულ მუშაკთა შორის დისციპლინისა და წესრიგის შესუსტებისათვის, რასაც მოჰყვა მარცხი, საექსპლოატაციო მუშაობის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციისთვის გზის უფროსის პირველ მოადგილეს, სკკპ წევრს ვ. ი. ბაციკაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საყრიცხვო ბრალთში შეტანით.

მუშაობაში დიდი ნაკლოვანებებისათვის, იმისათვის, რომ არ გამოიჩინა ჯეროვანი მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა, მოძრაობის უსაფრთხოების საგზაო რეგიზორი გ. თ. მაისურაძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან და განთავისუფლდა თანამდებობიდან. პარტიის რიგებიდან აგრეთვე გაირიცხა და თანამდებობიდან მოიხსნა დადგენილ მოთხოვნათა შესრულებაში პირადი უდისციპლინობისათვის, უპრინციპობისა და ისეთი მოქმედებისათვის, რომელსაც მოჰყვა მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების პირდაპირი დარღვევა, გზის სალოკომოტივო მეურნეობის სამსახურის უფროსი ი. ს. კაპანაძე.

გზის უფროსის მოადგილე, სკკპ წევრი ა. ა. ხეჩოიანი, რომელმაც არ შეასრულა უსაფრთხოების მოდერნიზებული მოწყობილობით აღჭურავი ლოკომოტივების ექსპლოატაციიდან ამოღების მითითებანი და შეურიგდა სალოკომოტივო სამსახურის-ადმი ხელმძღვანელობის დაბალ დონეს, იმსახურებს სამუშაოდან მოხსნას. მაგრამ [illegible] კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა, რომ იგი დიდი ხანი არ არის, რაც დაინიშნა ამ თანამდებობაზე, და გამოუცხადა სასტიკი საყვედური საყრიცხვო ბრალთში შეტანით.

კადრებთან მუშაობაში სეროიზული ხარვეზებისათვის, სოციალური სფეროს განვითარების საკითხთა არადამაკმაყოფილებელი დაგეგმვისათვის გზის უფროსის მოადგილეს, სკკპ წევრს ლ. შ. ბერძენიშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საყრიცხვო ბრალთში შეტანით. იგი გაფრთხილეს, რომ, თუ არ შეცვლის სამსახურებრივ მოვალეობებს, გაათავისუფლებენ თანამდებობიდან. სასტიკი საყვედური გამოეცხადა რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარეს, სკკპ წევრს რ. ლ. ბუგაიშვილს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც სასტიკი საყვედური გამოუცხადა საყრიცხვო ბრალთში შეტანით ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტკომის მდივანს, სკკპ წევრს ვ. ვ. ჩუბინიძეს, მიზანმეუწონლად ცნო ამ თანამდებობაზე მისი დატოვება.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და პარტიულ ორგანიზაციებს მეითითათ, რომ მკვეთრად უნდა გააძლიერონ საქმიანობა, რათა გაზარდონ მეთაურთა შემადგენლობის, კონკრეტულ თანამდებობის პირთა (პასუხისმგებლობა თითოეული რკინიგზელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის მკაცრად დაცვისათვის, შექმნან ყოველგვარი დარღვევისადმი შეურიგებლობის ვითარება, განახორციელონ გადაუდებელი ღონისძიებანი მაგისტრალის საკვანძო კვეგანაყოფებისა და სამსახურების მეურნეობის მოწესრიგებისათვის, არსებითად აამოღონ საექსპლოატაციო მუშაობის დონე, ამასთან ყველგან დანერგონ მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა მთელი რიგი სხვა კონკრეტული ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანი, რათა ამიერკავკასიის რკინიგზაზე უზრუნველყონ სახელმწიფო წესრიგი, გამორიცხონ მაგისტრალზე მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების ყოველგვარი დარღვევა.

(საქინფორმი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

გუშინ რედაქციას აცნობეს, რომ 402 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა თერთმეტი თვის გეგმის გადამეტებით თბილისის სპორტული ნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის კოლექტივმა და უზრუნველყო წლიური საბელმწიფო დავალების შესრულება. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაზრდილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობს ფაბრიკის № 1 საამქროს კოლექტივი. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამავე საამქროს მუშამ, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატმა თამილა სამხარაულმა.

სურათებზე: თამილა სამხარაული; მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი ფ. არჩვაძე და საამქროს უფროსი დემური ბერაძე ამოწმებენ მკერავ ბ. სამხარაძის ნახელავს.

ვ. გენგიურის ფოტო.

მკურნალობს სხივი

თბილისის ქალაქის მე-7 საავადმყოფოს ექიმ-ონკოლოგებმა პერსპექტიული „ინსტრუმენტი“ უწოდეს გულის არეში ლოკალური გარეთა დასხივების მოწყობილობას. ეგრეთ წოდებული სტანერი დაამზადა დროებითმა შემოქმედებითმა კოლექტივმა, რომელიც თბილისის საქალაქო აღმასკომის ტერიტორიულ-დარგოთშორისი გაერთიანების ეგიდით მუშაობს. მეცნიერთა და სხვადასხვა პროფილის ინჟინერთა თანამშრომლობის მეთხებით მალე შეისწავლეს ხორცი ადამ. ამჟამად თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტთან იქმნება მოკვარდის ინფარქტითა და გულის იშემიით დაავადებულ ავადმყოფთა დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქტიკის სამეურნეოთნგარიშიანი განყოფილება, რომლის ბირთვს ექიმებთან ერთად შეადგენენ დროებითი შემოქმედებითი კოლექტივის წევრები. განყოფილება სრულყოფს ახალ ხელსაწყოს და შეისწავლის მის გამოყენებას.

ქართველ სპეციალისტთა დახმარებით

როგორც საქდენის კორესპონდენტმა კრასნოდარიდან გვაცნობა, ადლერის ჩაის ფაბრიკის ტექნოლოგებმა გამოიყენეს ხალხური ტექნოლოგია და ჩაის დაუმატეს ტყის და მთის ბალახები. დღეს ადლერიდან სავაჭრო ქსელმა მიიღო პროდუქციის პირველი პარტია, რომელიც გამდიდრებულია ურცისა და თავშავის ბალახებით. მათი სურნელება და მარგებლობა კარგად ერწყმის შავი ჩაის ძვირფას თვისებებს.

ასეთი ჩაის მომზადების რეცეპტის შემუშავებაში ტექნოლოგებს დაეხმარნენ ქართველი სპეციალისტები. მართალია, რთულმა ტექნოლოგიამ დამატებითი ხარჯები მოითხოვა, მაგრამ აქ არ შეუშინდნენ ამ ხარჯებს, და არც შემცდარან. მომხმარებელი ხალისით იძენს ახალ პროდუქციას. საწარმოს ბალახებს აწვდიან ბელორუსიის, სომხეთისა და სტავროპოლის მხარის სამომხმარებლო კოოპერაციები.

უპასუხისმგებლობისათვის — პასუხისგებაში

სამეურნეო მექანიზმი ძირფესვიანად მხოლოდ მაშინ გარდაიქმნება, თუ დაიხვეწება მისი ყველა ელემენტი, ვიხილოდან ქვეყანაში მიმდინარე რადიკალური რეფორმა პრაქტიკულად ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროს ეხება.

შექმნილი მატერიალური დოვლათის მიმოქცევისა და საწარმოო პროცესის დიალექტიკური ურთიერთდამოკიდებულება განპირობებს, ძირეულ ცვლილებებს საზოგადოებრივი კვლაფარმოების დამამთავრებელ ფაზაშიც, უწინარეს ყოვლისა — სახალხო მეურნეობაში ანგარიშწორების ორგანიზაციაში.

ანგარიშსწორება, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ხერხემალი, მოწოდებულია ეფექტიანად ზემოქმედებდეს სამეურნეო ანგარიშის, თვითნაზღაურობისა და თვითდაფინანსების პრინციპების საყოველთაო დანერგვაზე და კონცენტრირებულად არის გამოხატული სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონში, რომელიც 1988 წლის 1 იანვრიდან შედის ძალაში. ამრიგად, შრომითს კოლექტივებს მიენიჭებათ მეტი უფლებები, რომლებითაც მათ თადარიგიანად და რაც შეიძლება ნაყოფიერად უნდა ისარგებლონ. მაგრამ ამისთვის ყველა, ვინც მატერიალური წარმოების სფეროშია დასაქმებული, ყარგად უნდა ეროკვლოდეს ეკონომიკურ კატეგორიებში, მარჯვედ იყენებდეს მათ პრაქტიკულად.

ამჟამად მოქმედი ანგარიშწორების წესი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დამტკიცა 1983 წელს. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი დადებითი მხარის მიუხედავად იგი არ გამორიცხავს ვერიანულ მეურეობაში, საკმარისად არ ამოიერებს გადამხდელთა პასუხისმგებლობას სახელმწიფოს, სამეურნეო პარტნიორებისა და საკუთარი კოლექტივის წინაშე ვალდებულებათა უცილობელი შესრულებისათვის.

ეს წესი, რომელიც გადახდის რიგითობას, ის კი არა, ასეთი რიგითობის ხუთ ჯგუფს აწესებს, — განსაზღვრავს შრომითი კოლექტივებს პირორიტეტს ხელფასისა და მასთან გათანაბრებული გადასახდელების სახსრების მიღების პრიორიტეტს.

მაგრამ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ სჯმიანობენ, შეასრულებენ თუ არა საწარმოო ვალებს, საფინანსო დისციპლინის ჩაშლის შემთხვევაშიც კი აქვთ გარანტია, რომ პირველ რიგში მიიღებენ ბანკში ხელფასის, პრემიის, გასამრჯელოს და სხვა სახსრებს.

ასეთი მდგომარეობა, სამეურნეო ანგარიშის პრინციპების საწინააღმდეგოდ, ბევრ კოლექტივს, რომელიც ვერ შეასრულებს დავალებს ძირითადი საგეგმო მაჩვენებლების მიხედვით, შესაძლებლობას აძლევს უსაფუძვლოდ, ზოგჯერ კი უკანონოდ გარდაქმნას საკუთარი საბრუნავი საშუალებები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიულ მარაგად და დაუბრკოლებლად მიიღოს პრაქტიკულად გამოუმუშავებელი ხელფასი და პრემიები.

ამასთან ილახება სხვა კოლექტივების ერთობლივი ინტერესები, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებისა და მიწოდების ვალდებულებებს.

რესპუბლიკაში კვლავინდებურად ფუნქციონირებენ საწარმოები, რომლებიც არსებითად გაკოტრებული არიან, ვინაიდან სისტემატურად დაუგეგმავი ზარალი მისდით.

ავიღოთ, მაგალითად, ჩაის მრეწველობის საწარმოები. აქ ფაბრიკების 16 პროცენტს დიეხანს, ხშირად მთელ წელიწადს რჩება გადასახდელი თანხები, ხოლო სამი მათგანი 4 მილიონამდე მანეთის ულიკვიდო ბალანსებით მუშაობს.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საყოფელო-სამეურნეო ინვენტარის ქარხანის სამი წლის დავალიანებამ შეადგინა 4,6 მილიონი მანეთი, აქედან სახბანკის სესხის მიხედვით — 1,1 მილიონი მანეთი. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა დარგის საწარმოთა ნახევარზე მეტი.

უკეთ არც მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაშია საქმე. ამ სამინისტროს 73 საწარმო-გაერთიანებათაგან 26-ს დაკრედიტების შეღავთიანი პირობების მიუხედავად დიდი ხნის გადასახდელი თანხები დაუგროვდათ სახბანკის სესხისა და მიმწოდებელთა ანგარიშების გასასტუმრებლად. მარტო ქუთაისის აბრეშუმის გაერთიანების დავალიანება შეადგენს 19,1 მილიონ მანეთს, აქედან სესხისა — 7,3 მილიონ მანეთისა. აქ 37 მილიონი მანეთის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთები დაუგროვდათ.

მანეთი მკაცრად მოგვკითხავს...

ანგარიშსწორება ახალი კანონის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს

ახალი ეკონომიკური მექანიზმი მოწოდებულია აღადგინოს სამეურნეო საქმიანობა, ამასთან ყოველნაირად გაარმოს ეკონომიკის მართვის დემოკრატიული საფუძვლები. იგი გულისხმობს, რომ განუხრელად გაძლიერდეს შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობაც ნაკისრი ვალდებულებებისათვის იმ გზით, რომ მათ დაუწესებდათ გადასახდელთა კალენდარული რიგითობა, რაიმე პრიორიტეტულ ჯგუფებად დაუყოფდან. სხვათა შორის „განახლების“ საბჭოთა მეურნეობაში არადანიშნულებით 114 ტონა დიზელის საწვავი გამოიყენეს ზემოხსენებულ პერიოდში. აქვე აღმოჩნდა 11500 მანეთის წამატებები. ცხინვალის რაიონის ერედვის საბჭოთა მეურნეობაში 98,8 ტონა, ხოლო ზუგდიდის საკონსერვო ქარხანაში 98,3 ტონა მაზუთი დახარჯეს უკანონოდ.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში ნავთობპროდუქტების ყაირათიანი ხარჯვის საქმეში საბჭოთა მეურნეობა, ბიუჯეტი და ხელფასის გაცემის, საანგარიშსწორებო დოკუმენტების შემოსვლის (გადახდის ვადების დადგომის) კალენდარული რიგითობით.

კანონის სამოქმედოდ შემოღებისთანავე დგება ყოველი შრომითი კოლექტივის უცილობელი მატერიალური პასუხისმგებლობა, უწინარესად იმათი, რომლებიც უგულებელყოფენ სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს, არ უსატყვისებენ საწარმოო დანახარჯებს, შექმნილი პროდუქციის რაოდენობას და ხარისხს, არ ასრულებენ სახელმეკრულებო ვალდებულებებს. არ არის გამორიცხული, რომ ასეთი მდგომარეობა გამოიწვევს საერთოდ საკუთარ მუშა-მოსამსახურეებთან ხელფასის ანგარიშსწორების ხანგრძლივ დაყოვნებას.

გადასახდელთა გასტუმრების დაგვიანებას შეიძენა არა მარტო მოცემულ საწარმოში სამეურნეო ანგარიშის პრინციპების სერიოზული დარღვევა მოჰყვეს, არამედ მაშინ დაკავშირებულ სამეურნეო ორგანოებშიც წარმოიშვას გადასახდელი თანხების ჯაჭვი და, მაშასადამე, დაირღვევს სხვა კოლექტივებში ხელფასის გაცემის ვადები. ძნელ პირობებში შეიძლება აღმოჩნდეს სახელმწიფო ბიუჯეტიც — სოციალური სფეროს დაფინანსების, ქვეყნის თავდაცვითი ძალიერების განმტკიცების მთავარი წყარო.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის ბევრ საწარმო და ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ არის მზად ასეთი გარდაქმნისათვის, და თუ წლის დამლევამდე დარჩენილ დროში არ მიიღებენ ყველაზე რადიკალურ ზომებს საფინანსო მეურნეობის გასაჯანსაღებლად, შეიძლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

კვრძოდ, საწარმო-ორგანიზაციათა სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში არსებითი ნაკლოვანებების გამო მიმდინარე წლის 1 ნოემბრისათვის დროზე დაუფარავმა საერთო ვალმა მიაღწია 2,3 მილიარდ მანეთს, მათ შორის ბანკის სესხის მიხედვით — 1 მილიარდ მანეთს და სამეურნეო პარტნიორთა ორმხრივი დავალიანების მიხედვით — 1,3 მილიარდ მანეთს. ამასთან ჩვენს რესპუბლიკაში ვადაგადაცილებული სესხის ხანგრძლივობამ 9 თვის მანძილზე შეადგინა 68 დღე, რაც ერთ-ნახევარჯერ სჭარბობს საშუალო საკავშირო დონეს, ხოლო სამეურნეო ორგანოების ორმხრივი დავალიანების საშუალო ხანგრძლივობამ თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე ქვეყანაში. რესპუბლიკაში ყოველ მეშვიდე სამეურნეო ორგანოს წელიწადზე მეტი ხანგრძლივობის გადაუზდელი თანხები აქვს. თუ ნათქვამს იმასაც დავუმატებთ რომ რესპუბლიკის ეკონომიკაში დაბანდებულია მხოლოდ მოკლევადიანი კრედიტები დაფარვის სხვადასხვა ვადით, რომელთა საერთო თანხა 8 მილიარდ მანეთს აღწევს, მაშინ მომენტის მთელი პასუხსაგებობა აშკარა ხდება.

სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კანონის ამოქმედებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა, და ამ უადრესად მოკლე ვადაში უნდა ავამოქმედოთ ჩვენი ეკონომიკის მთელი რეზერვები, მთლიანად გამოვიყენოთ არსებული რესურსები საკუთარ საბრუნავ საშუალებებთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობის მოსაწესრიგებლად, მაქსიმალურად მოვაქციოთ სასარგებლო სამეურნეო ბრუნვაში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული

უკანასკნელი საკავშირო საბჭოთა ენციკლოპედია
საკავშირო
10 დეკემბერი

ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ᲒᲐᲛᲑᲐᲠᲯᲕᲐ სალმა აზრმა, გონიერებამ. გადაიდგა პირველი ნაბიჯი უბრალო მსოფლიოს გზაზე. საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომლის თანახმად ისტორიაში პირველად განადგურდება—უმკაცრესი კონტროლის პირობებში — ორი კლასის ბირთვული შეიარაღება, დამაჯერებლად მოწმობს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა უნარს იკისრონ დიდი პასუხისმგებლობა ისტორიის გარდამტეხ ეტაპებზე. ასეთია საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის გამო სახელმწიფო საზოგადო მოღვაწეების გამონთქვამები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მრავალი კომენტარის ლაიტმოტივი.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის ყველა წამყვანი გაზეთი აქვეყნებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა თეთრ სახლში წარმოთქმული სიტყვების ტექსტებს, პირველ გვერდებზე ბეჭდავს ფოტოსურათებს, რომლებზეც აღბეჭდილია ხელშეკრულების ხელმოწერის ისტორიული ცერემონია. „ჩვენი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან ფრიად მნიშვნელოვანი და უნიკალურია, — განუცხადა ჟურნალისტებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯ. შულცმა. — ჩვენს ორ ქვეყანას უნარი შესწევს ერთმანეთი და მთელი მსოფლიო გაანადგუროს 30 წუთში. ამიტომ მეტად საჭიროა დიალოგი შეიარაღებისადმი კონტროლის, ადამიანის უფლებათა საკითხებზე, რეგიონულ პრობლემებზე. სხვანაირად ვერაფერს მივაღწევთ. ჩვენ უნდა განვაგრძოთ ასეთი დიალოგი“.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ფ. კარლუჩიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულება „პირველი ხელშეკრულებაა შეიარაღებისადმი კონტროლის ისტორიაში, რომელიც ითვალისწინებს კონტროლის უმკაცრეს რეჟიმს“. შეეხო რა ორივე სახელმწიფოს მიერ შეტანილი სტრატეგიული შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების საკითხს, მან აღნიშნა, რომ ამ პრობლემაზე მოლაპარაკების დროს „შეინიშნება პროგრესი, თუმცა ბევრი რამ ჯერ კიდევ გადასაწყვეტია“. ამავე დროს მინისტრმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები „წინანდელი სიმტკიცით განაგრძობს მუშაობას სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამიით“.

„მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტზე, აღინიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების ორგანო გაზეთი **„უოლ-სტრიტ ჯორნელი“**, — დიდად არის დამოკიდებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალი ურთიერთობა 1988 წლის შემდეგ“.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. „ისტორიული“ უწოდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულებას დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯეფრი ჰაუმ, რომელმაც თქვა, რომ „ბრიტანეთის მთავრობა მტკიცედ უჭერს მას მხარს“. იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც ამტკიცებს, თითქოს საშუალო სიშორის რაკეტებისა და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაცია „ნატოს საფრთხეს უქმნის“, ჰაუმ თქვა, რომ მათი ლიკვიდაცია გამოიწვევს ურთიერთნდობის ზრდას, ურომლისოდაც შეუძლებელია პროგრესის მიღწევა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში.



გ. ᲬᲣᲠᲩᲐᲕᲐᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საფრანგეთის პრეზიდენტმა ფ. მიტერანმა განაცხადა, რომ ახლა მსოფლიო დგას არჩევნის წინაშე — განიარაღდეს თუ დაადგეს ზეშეიარაღების კურსს. „მე ჩემი არჩევანი გავაკეთე, — აღნიშნა საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურმა. — საჭიროა განიარაღება და იმათი წინააღდეგების უკუგდება, ვინც უარს ამბობს ამაზე“. ფრანს პრესის სააგენტოს კომენტარში ნათქვამია, რომ ამ განცხადებით პრეზიდენტმა დაგმო საფრანგეთის ის ძალები, რომლებიც სხვებს აშინებენ ბირთვული რაკეტების ორი კლასის ლიკვიდაციის „საშიში შედეგებით“.

ასეთი ძალები რომ საკმაოდ აქტიური არიან, მოწმობს საფრანგეთის მთელ რიგ მემარჯვენე გამოცემებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

ᲑᲝᲜᲝ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ბონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მიღწეულ მორიგებებს. განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის ისტორიაში პირველად საერთაშორისო სამართლის საფუძველზე მიღწეულია დამავალდებულებელი მორიგებანი ადგილებზე კონტროლის განხორციელების შესახებ. რადგან ეს დოკუმენტი ეხება დასავლეთ გერმანიის ტერიტორიას, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ყოველ ღონეს იხმარს, რათა ეს კონტროლი განხორციელდეს“.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ— ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘ

ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „საბჭოთა არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ“. დადგენილებაში აღნაშნულია, რომ საბჭოთა არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის, არქიტექტურა მუდმივ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, წარმოადგენს ხალხის ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის ქმედითს საშუალებას.

ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ბევრი სხვა ქალაქი, საბჭოთა პერიოდში საქართველოს დედაქალაქე სწრაფად ვითარდებოდა. იზრდებოდა თბილისის მოსახლეობა, განაშენიანებამ დაიკავა ქალაქის მიმდებარე ტერიტორიის ვრცელი ფართობები. რეკონსტრუირებულია ქალქის ზოგიერთი უბანი, ქუჩა და მოედანი. ბუნებრივია, რომ სწრაფი განვითარება არ მიმდინარეობდა უნაკლოდ. ტერიტორიის გაფართოებამ დაარღვია პროპორციები მისი ცალკეული ნაწილების განვითარებაში; ახალი უბნების განაშენიანება უსახური და ერთფეროვანი გახდა, გაჩნდა „ვიწრო ადგილები“ ქალაქის განაპირა რაიონების ერთმანეთთან დამაკავშირებელი მაგისტრალების შეუფერხებელ ფუნქციონირებაში. თბილისის განვითარების ამ პრობლემებს და მთელ რიგ სხვა საინტერესო საკითხებს ეხება ავტორი თავის სტატიაში.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ათეული წლების მანძილზე თბილისის დაჩქარებულმა ტერიტორიულმა ზრდამ არაერთი მწვავე პრობლემა წარმოაჩინა და ბევრი ჩვენგანი დაეფიქრა იმაზე, თუ როგორ უნდა ვითარდებოდეს რესპუბლიკის დედაქალაქი. დღეს უკვე არა მარტო სპეციალისტებისათვის, არამედ ცოტად თუ ბევრად დაკვირვების უნარის მქონე ადამიანისთვისაც ნათელია, რომ დარღვეულია დედაქალაქის განვითარების პროცესში ცალკეული კომპონენტების ოპტიმალური შეთანაწყობა, რომ საჭიროა ამ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში მეტი სიჯარობის შეტანა, რათა თავიდან ავიცილოთ საკმაოდ ფესვგადგმული შეცდომები, გამოვასწოროთ ბევრი ისეთი ნაკლი, რომლის თავიდან აცილება ჯერ კიდევ არ არის გვიან. ეჭვს არ იწვევს ის გარემობა, რომ უკანასკნელ დრომდე სწორედ საჯაროობის უგულებელყოფა და ქალაქმშენებლობის ბევრი არსებითი მხარის მხოლოდ ვიწრო წრეში გადაწყვეტა ან ეოლუნტარისტული მიდგომა გახდა დაშვებულ შეცდომათა ძირითადი მიზეზი.

ამ წერილის ავტორი შორს არის იმისაგან, რომ ვერ ხედავდეს დიდ პოზიტიურ გარდაქმნებს, დედაქალაქმა სოციალისტური მშენებლობის წლებში რომ განიცადა. თითოეული ჩვენგანი ვამაყობთ იმ დიდი წვლილით, რომელიც თბილისს შეაქვს ქვეყნის მატერიალური და სულიერი კულტურის აღმავლობაში. გვახარებს ფართოდ გაშლილი კეთილმოწყობის საშუშაოები — თბილისის ისეთი ნაგებობანი, როგორიცაა მეტროპოლიტენი, მტკვარზე აგებული ახალი ხიდები და სანაპირო მაგისტრალები, რომლებიც უმნიშვნელოვანეს არტერიებად გადაიქცა და გადაამწყვეტ როლს ასრულებს ქალაქის უმთავრესი ნაწილების ურთიერთდაკავშირებაში. ასევე მეტად დროული იყო ქალაქის ცენტრალურ უბნებში ზოგიერთი მაგისტრალური ქუჩის თუ მოედნის გაფართოება-რეკონსტრუქცია (რუსთაველის პროსპექტის ორივე დაბოლოება, მელიქიშვილის და ჩელიუსკინელების ქუჩები, წერეთლის პროსპექტი, ლენინისა და გმირთა მოედნები და სხვ.). დედაქალაქს ამშვენებს არაერთი საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი სახლი, რომლებიც კარგად ერწყმის თბილისის თავისებურ გარემოს და მიმზიდველ კოლორიტს ქმნის. ჩვენ თვალწინ განხორციელებულმა ბევრმა პოზიტიურმა გარდაქმნამ ქალაქს ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ და ლაზათი შემატა და თითოეული ჩვენგანის დიდი კმაყოფილება გამოიწვია. მაგრამ გულსატკივნიც ბევრი გაგიჩნდა და საქმისათვის, ალბათ, უფრო სასარგებლო იქნება თბილისის განვითარების გადასაჭრელ პრობლემებზე გავამახვილოთ მკითხველის უურადღება.

დავიწყოთ იმით, რომ თბილისის შემდგომი განვითარება სრულებითაც არ ნიშნავს დედაქალაქი სულ უფრო მეტი რაოდენობის სამრეწველო საწარმოების თვმოყრას. ბევრად გამართლებული იქნება თბილისის სამრეწველო პოტენციალის თვისებრივი სრულყოფა, რაც პირველ ყოვლისა, გულისხმობს მრეწველობის ყველიფიციური დარგების, მათ შორის მეცნიერებატევადი წარმოების განვითარებას. არსებულ სამრეწველო საწარმოთა რეკონსტრუქცია ორიენტირებული უნდა იყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებზე და არა წარმოებაში დასაქმებულთა რაოდენობრივ ზრდაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია საქალაქო მეურნეობის სხვა დარგებში შრომის ინდუსტრიული მეთოდების დაჩქარებული დანერგვა, რათა თავიდან აცილოთ მუშახელის გადინება. დედაქალაქის საწარმოო პოტენციალის ამ მიმართულებით გაძლიერება შექმნის თბილისის მოსახლეობის ოპტიმალური ზრდის წინამძღვრებს, ბევრად შეანელებს რესპუბლიკის სოფლებიდან და ქალაქებიდან მუშახელის თბილისისაკენ ლტოლვას.

თუმცა ნათქვამი ურბანიზაციის პროცესის მართვის არსებით მხარეს შეეხება. ამით მაინც არ ამოიწურება დედაქალაქის განვითარების სტატეგიული მიმართულება. აუცილებელია პარალელურად რესპუბლიკის წვრილი და საშუალო სიდიდის ქალაქების განვითარების დაჩქარება, რათა ცხოვრების პირობებით ისინი არ ჩამორჩებოდნენ დედაქალაქს. ამასთან დაკავშირებით მეტ ყურადღებას მოითხოვს ქალაქმშენებლობაში გამოყენებული ინვესტიციების რაციონალური განაწილება, სამრეწველო საწარმოთა სწორი ტერიტორიული განლაგება, რამაც საბოლოოდ ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო ქალაქების განვითარების დაჩქარებას.

საქმე ეხება არა მარტო საწარმოო დარგების განლაგების რეგულირებას, არამედ თბილისის განტვირთვას ისეთი ფუნქციებისაგან, რომლებიც სხვა ქალაქებმაც შეიძლება წარმატებით შეასრულოს. არ შეიძლება, მაგალითად, გამართლებულად ჩაითვალოს სამეცნიერო და საპროექტო დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებების, შემოქმედებითი ორგანიზაციების, სამეფურნეო და მართვის ორგანოების მეტისმეტი თავმოყრა თბილისში. არაერთი ასეთი დაწესებულება სხვა ქალაქებშიაც, მათ შორის რესპუბლიკის მეორე ქალაქში — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ შეიძლებოდა განლაგებულიყო; ბევრ ჩვენს ქალაქს თავისი მდებაოერობით და რიგი სხვა მონაცემებითაც შემდგომი ზრდის კარგი პირობები აქვს. მიუხედავად ამისა, მცირე და საშუალო სიდიდის ქალაქების უმრავლესობა ან სტაბილიზაციას განიცდის, ან უმნიშვნელოდ იზრდება. მათი შემდგომი აღმავლობის ერთ-ერთი შემაფერხებელი გარემოება სწორედ წარმოების ტერიტორიული კონცენტრაციისა და დეკონცენტრაციის არასწორი შეხამებაა. რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მართვის ერთიან სისტემაში ამ პრობლემას დღემდე არ უჭირავს შესაბამისი ადგილი. არადა, მათი სწორი გადაწყვეტა უშუალოდ უკავშირდება როგორც ჩვენი ქალაქების ზრდის რეგულირებას, ისე მოსახლეობის ცხოვრების პირობების მუდმივ გაუმჯობესებას.

„ცხოვრების პირობები“ მეტად ტევადი ცნებაა და გულისხმობს ბევრ სხვა ნიშანთან ერთად ჩვენს ირგვლივ შექმნილი ბუნებრივი და საზოგადოებრივი გარემოს ძირითად ნიშნებსაც, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მის ფსიქიურად გაწყობაზე და ა. შ. მსგავი ინდუსტიციული ქალაქის ბუნებრივი გარემო და ცხოვრების დაძაბული ტემპი ხშირ შემთხვევაში ბევრად აუარესებს მის მკვიდრთა ცხოვრების პირობებს, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქში ეკოლოგიური ოპტიმუმის დაცვას, ატმოსფეროს და წყლის გაჯუჯანების თავიდან აცილებას. ეს პრობლემა მწვავედ დგას თბილისში. მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა, ქალაქის არაერთი საწარმო ჯერ კიდევ გამოყოფს მავნე ნარჩენებს და ამიწყურებს ცალკეული უბნების სამაერო სივრცეს, აგრეთვე მდინარე მტკვარს. განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს თბილისის ეკოლოგიურ სიტუაციაზე ᲥᲣᲩᲘᲡ ავტოტრანსპორტით გადატვირთვა.

თბილისის ზრდის არაერთი ნაკლი გამოიწვია. იმ გარემოებამ, რომ დედაქალაქის განვითარების ამჟამად მოქმედი გენერალური გეგმა თავის დროზე არ გამხდარა ფართო მსჯელობის საგანი, რამაც განაპირობა მისი სუსტი მხარეები. გეგმის ზოგიერთი არსებითი მონაზაზი მოკლებული იყო რეალობას და აკი არც განხორციელებულა, ხოლო ბევრი საჭირო გარდაქმნა რატომღაც მხოლოდ გენერალური გეგმის ნახაზზე დარჩა და მის შესრულებაზე არავის უზრუნვია. მთავარი მაინც ის არის, რომ უგულებელყოფილია თანამედროვე ქალაქმშენებლობის ბევრი ძირითადი მოთხოვნა, თითქოს ისინი არც არსებობდნენ. თბილისის განაშენიანების გაფართოება ბევრ შემთხვევაში არ ითვალისწინებს ტერიტორიის რაციონალურ გამოყენებას და მიწის რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით ათვისებას. ეს საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჩვენს პირობებში, რადგან, ᲥᲣᲩᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗ გადატვირთვა, ᲛᲢᲙᲕᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲥᲛᲜᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲬᲘᲚᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ. ᲘᲡᲔᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲛᲘᲜᲐᲠᲔ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ. ᲘᲡᲔᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲢᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ. ᲐᲛᲘᲡ

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურის კლასიკოსის საიუბილეო სახელი დიდი ხანია გასცდა ამიერკავკასიის ფარგლებს და დარჩა როგორც

სალხინო მეგობრობის ბომოლერალი

ამ დიდი სომეხი პოეტის დაბადების 275 წლისთავს მიეძღვნა მოსკოვში, სსრ კავშირის დიდ თეატრში გამართული საზეიმო სალამო.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ლ. ნ. ზაიკოვი, გ. ა. რაზუმოვსკი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ი. პ. ვორონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე პ. ი. სლუჩკო, სომხეთის სსრ დელეგაციის წარმომადგენლები, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ს. დემირჭიანი. სალამოში მონაწილეობდნენ პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწეები, მოძმე რესპუბლიკის წარმომგზავნილები.

სალამო გახსნა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. მ. მარკოვმა.

„სიტყვა საიათნოვაზე“ წარმოთქვა სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ს. ავეტისიანმა.

საიათნოვას შემოქმედების წარუვალი მნიშვნელობის, კაცობრიობის მხატვრულ კულტურაში მისი წვლილის შესახებ ილაპარაკეს ქვეყნის ლიტერატურული საზოგადოების წარმომადგენლებმა.

გაიხსნა გამოფენა

ქართველმა მკითხველმა წლიულს უხვად მიიღო ინფორმაცია ქუთაისელ მხატვარ ფელიქს ვარლამიშვილზე. თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მან შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი — 60 წელი საფრანგეთში ატარა. 83 წლისა იგი ითვლება კარდაიცალა და ფერწერული და გრაფიკული ნაშუაკეთების მდიდარი შემკვიდრეობა დატოვა.

და აი, მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მხატვრის ნაწარმოებებმა თბილისიდან ქუთაისის სახვითი ხელოვნების გალერეაში გადაინაცვლა. დამოუკიდებელი ჰოხიბლა მხატვრის შემოქმედებითმა სამყარომ, რომელმაც პლანეტის მრავალ ქვეყანაში მოწყობილ პერსონალურ გამოფენებზე პოვა პროფესიონალთა და მოყვარულთა აღიარება.

გამოფენის გახსნაზე, რომელსაც დაესწრნენ ქალაქის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები, ბევრი გულთბილი სიტყვა ითქვა ფ. ვარლამიშვილის მაღალ ადამიანურ თვისებებსა და შემოქმედებაზე.

ეროვნული ავანგარდის განმავლობაში ტომსკი იქნება ქართული ხელოვნების ჩვენების ნაბდვილი ცენტრი. 15 დეკემბრიდან ციმბირის ამ ქალაქში დაიწყება

საქართველოს კულტურის დღეები

საუკეთესო სასცენო მოედნები დაეთმობათ რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატებს. კინოთეატრებში უჩვენებენ „რაიკომის მდივანს“, „ცისფერ მთებს“ „მონანიებას“ და მოკლემეტრაჟიან ფილმებს.

გაიმართება აგრეთვე შეხვედრები ქართველ ლიტერატორებთან, კონცერტების სერია, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ მრავალი ანსამბლი და ცალკეული შემსრულებლები, მოეწყობა რესპუბლიკის გამომცემლობების მიერ გამოშვებული წიგნების გამოფენა-ვაჭრობა და სამხატვრო გამოფენები, ხოლო საოლქო ცენტრის რესტორნებში სტუმრებს უმასპინძლებენ ქართველი მზარეულები.

თავის მხრივ ტომსკელები ქართველებს გააცნობენ საკუთარ მიღწევებს.

გაიმართა პრემიერა

ბიათუარის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა ახალგაზრდა დრამატურგის თემურ აბულაშვილის პიესის „სამიარუსიანი ქალაქის“ მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა, რომლითაც ავტორმა გადმოსცა მაღაროელთა ცხოვრება.

პიესა დადგა რეჟისორმა ნ. დეისაძემ, მხატვრობა ეკუთვნის რესპუბლიკის დამსახურებულ მხატვარს ი. ხუროშვილს, მუსიკალურად გაფორმა კ. მოდებაძემ.

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტების, საკრედიტისა და საქინფორმის მასალები რუბრიკისათვის მოამზადა რ. გასილაშვილმა.

„აკადემიკოსი ვეკუა“ მიწერის ნავსადგურში

როგორც ჟურნალ „ცისფერ ყანაში“ ეწერა, „ამოჩენილი საბჭოთა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, აკადემიკოს ილია ნეტარის ძე ვეკუას სახელი ეწოდა საქართველოს საზღვაო სანაოსნო ახალ ტანკერს.

151,3 მეტრი სიგრძისა და 22,4 მეტრი სიგანის თბომავალს შეუძლია გადაიტანოს ოთხი სიმძიმის 15 ათას ტონამდე ჩასასხმელი ტვირთი, ამასთან განავითაროს ოცდაცხრა კვანძამდე სიჩქარე.

დიზელ-გენერატორების, ელექტროსადგურების, მთავარი ძრავის დამხმარე მექანიზმების მართვა, აგრეთვე გემის სიხტემების სიგნალიზაციის მუშაობა უზრუნველყოფილია ელექტრონიკის ბაზაზე მოქმედი თანამედროვე ავტომატიკით. ხმელთაშუა ზღვაში სავალ-ზე გამოცდამ დადასტურა გემის მოწყობილობის ეფექტიანობა და საიმედოობა.

ტანკერი „აკადემიკოსი ვეკუა“ აშენდა იუგოსლავიის გემთაშენებელ ზავოდში.

სურათებზე: კაპიტანს უფროსი თანაშემწე ამირან წერეთელი და მეორე თანაშემწე მინას მინასიანი ახალი ტანკერის სამართავ ბოგურაზე. „აკადემიკოსი ვეკუა“ ბათუმის ნავსადგურში.

ნ. ანასტასიევის ფოტო.

ფესტივალი

თეატრალური კაუნასის ატმოსფერო

საქავშირო თეატრის მოღვაწეთა კავშირის თაოსნობით სხვადასხვა რესპუბლიკაში იმართება თეატრალური ფესტივალები, რომელთა მიზანია მივაკვლიოთ და თვალსაჩინო გავხადოთ ჩვენი ქვეყნის თეატრალური ცხოვრების ძირითადი ტენდენცია, თვალი მივადევნოთ თანამედროვე სათეატრო პროცესებს, ერთიან სისტემაში განვიხილოთ შემოქმედი რიტელიგენციის ხელოვნებისეული კრედო, მივანიშნოთ მომავლის პერსპექტივა, წარმოვაჩინოთ სიცოცხლისუნარიანი სათეატრო ესთეტიკათა ნაირსახეობა. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თბილისის ახალგაზრდული სპექტაკლების საკავშირო ფესტივალი და ქალაქ კაუნასში გამართული სათეატრო ფორუმი: „ახალგაზრდა თეატრი — 87“.

საქართველო და ლიტვა მდიდარი, მრავალსახოვანი, საინტერესო ძერების შემცველი სათეატრო ესთეტიკით გამოირჩევა. შესაძლოა ამიტომაც, სწორედ ამ რესპუბლიკებში იმართება ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალები: ახალგაზრდების შემოქმედებითი ცხოვრების ჩვენება. ამ ფესტივალში უმეტესად თეატრ-სტუდიები მონაწილეობდნენ.

სტუდიური მოძრაობის აღორძინება უკანასკნელი წლების საბჭოთა თეატრის მონაპოვარია და ამდენად, სრულიად კანონზომიერია ასეთი ინტერესი აღნიშნული პროცესების მიმართ.

ქართული თეატრის პრესტიჟის დაცვა წილად ხვდა რუსთაველის თეატრს ახალგაზრდულ დასს. პროფესორ გიზო ჟორდანიას აღზრდილები თეატრალური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მიიწვიეს რუსთაველის თეატრში. მცირე სცენაზე მათ გადაიტანეს სადიპლომო სპექტაკლები „სამანიშვილის დედინაცვალი“, „ანა ფრანკის დღიური“ და გამართეს პირველი პრემიერაც — ბ. ვასილიევის „ამაღამ, მგონი, იქნება ქარი“. ჩვენ ისე შევეჩვიეთ ქართული თეატრის წარმატებულ გასტროლებს, რომ აღარ უნდა გვიკვირდეს ის წარმატება, ახალგაზრდა მსახიობებმა რომ მოიპოვეს კაუნასში, ფესტივალის ჰეშმარიტ ფავორიტებად ქართველი მსახიობები იქცნენ და ამით ბევრად განსაზღვრეს ფესტივალის სადღესასწაულო განწყობილება. კაუნასში წარმოადგინეს დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ და ბ. ვასილიევის „ამაღამ, მგონი, იქნება ქარი“...

მაყურებლისა და სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში ქართველი მსახიობების მიერ ბ. ვასილიევის პროზის სცენური ადაპტაცია მოხდა. თავისი მოქალაქეობრივი პოზიციით, გამოკვეთილი სათეატრო ესთეტიკით, სასცენო კულტურით ქართულმა დასმა ამჯერადაც ღირსეულად წარმოაჩინა თანამედროვე ქართული თეატრის საუკეთესო თვისებანი.

ატმოსფერო. ფესტივალი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. სასიამოვნოდ და გემოვნებით გაფორმებული ბუკლეტი ყოველ თეატრზე მოკლე ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს. ფესტივალის მონაწილენი ერთმანეთის შემოქმედებას ეცნობოდნენ, საღამოს კი კაფე „ორბიტაში“ გრძელდებოდა პაექრობა და ეგრეთ წოდებული „კაპუსტნიკები“. რამდენიმე საღამოს ინიციატივა ხელთ ეპყრათ ქართველ მსახიობებს. იმპროვიზაციული გაქანება, ახალგაზრდული სიჩაუქე და ეროვნული ირონიზმის ძალა შთამბეჭდავად მოქმედებდა დამსწრე საზოგადოებაზე.

ფესტივალის გახსნაზე, ა. ვასილიევის სტუდიამ — „დრამატული ხელოვნების სკოლამ“ წარმოადგინა ვ. სლავკინის „სერსო“. ბი აღელვებს შემოქმედთა ამ თაობას? რა სახის სათეატრო ესთეტიკას ერთგულობენ ისინი?

თეატრ-სტუდიების რეპერტუარი მრავალ პრობლემაზე მიგვანიშნებს. მთავარი კი მაინც ის არის, რომ მათი ხელმძღვანელები ცდილობენ კლასის ადაპტაციას მოუძებნონ სახეური სასცენო გარემო. ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები თ. დოსტოევსკის, ლ. ტოლსტოის, ა. პუშკინის, მ. სალტიკოვ-შჩედრინის, დ. კლდიაშვილის სტუდიას ძალას ერთგულობენ, უკვე სიმპათიას ბადებს. კლასიკოსების ჰუმანური, ადამიანისმცოდნეობითი, მორწმუნეობრივი, ზედროული იდეები სულის გაკეთილშობილების, ზნეობრივი სრულყოფილების საშუალებაა. ეს კი საერთივი საჭიროა ამ გარდაქმნათა პროცესში: კლასიკაზე წვრთნის სტუდიის ხელმძღვანელი თავის სამწყსოს.

თეატრ-სტუდიის 'რეპერტუარში, ეგრეთ წოდებული დიდი და პოსტიტიული თეატრებისაგან განსხვავებით, საგულისხმო ადგილი ეთმობა XX საუკუნის მეორე ნახევრის საუკეთესო საბჭოურ და აგრეთვე უცხოურ დრამატურგიას: ე. მოროეკი, ე. იონესკო, ს. ბეკეტი—ეს თავისთავად უკვე გაბედული აქციაა, რაც რწმენას ბადებს. ლ. პეტრუშევსკაია, ვ. სლავკინი, ბ. ვასილიევი, ა. კაზანცევი — ეს სახელებიც სტუდიელების თანამედროვე ცხოვრებისეული პრობლემების მიმართ ცხოველ ინტერესს მოწმობს.

და მაინც, პროზაული ნაწარმოებების საგრძნობი ხვედრითი წილი მიგვანიშნებს, ერთი მხრივ, თანამედროვე მაღალი რანგის დრამატურგის დეფიციტზე და, მეორე მხრივ, ჩვენს შემოფარგლულ თვალსაწიერზეც, როცა წლების მანძილზე ტაბუ აქვს დადებული მთელ რიგ ავტორებსა და ნაწარმოებებს, ღარიბდება სუ-ა. ვასილიევი საინტერესოდ მოაზროვნე ხელოვანია. „სერსო“ სპეციალისტებმა უკანასკნელი წლების მოსკოვის საუკეთესო სპექტაკლად აღიარეს.

კაუნასიდან ახალგაზრდულმა თეატრალურმა მუსიკალურმა სტუდიამ მიიღო მონაწილეობა, ოდესიდან — პოეზიისა და დრამის სტუდიამ. მათ მწვავე პოლემიკა გამოიწვიეს. ინტერესით ველოდით ლონდონის უნივერსიტეტის სტუდენტური თეატრის „მეფე ლირს“, მაგრამ დადგმამ იმედი ვერ გაგვიმართლა. ეს არც არის გასაკვირი, მათ ხომ სცენისმოყვარეულთა წარმოდგენა გაითამაშეს ამ პროფესიული თეატრების ფესტივალზე (ალბათ უნდა გაფართოვდეს თბილისისა და კაუნასის საფესტივალო რადიუსი, უმჯობესია და უალრესად მნიშვნელოვანიც, თუ ორგანიზატორები უცხოური პროფესიული დასის მოწვევით გაამდიდრებენ ამგვარ სათეატრო ფორუმებს). ასეთ გარემოებაში წარმოადგინეს რუსთაველის თეატრის ახალგაზრდებმა თავიანთი სპექტაკლები.

**სანახაობის ზეიმო